სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
06.10.2017 №188
თბილისი

სტუ-ში 2017-2018 სასწავლო წელს პროგრამული
დაფინანსების ფარგლებში დასაფინანსებელი
სტუდენტების გამოსავლენად შიდა გამოცდის
ჩატარების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 17 აგვისტოს №135/ნ ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 06 ოქტომბრის №2568 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ში 2017-2018 სასწავლო წელს პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასაფინანსებელი სტუდენტების გამოსავლენად შიდა გამოცდა მათემატიკაში ჩატარდეს 2017 წლის 09 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსში, კოსტავას ქ. №68, პირველ სართულზე, სტუ-ს საგამოცდო ცენტრში.
2. გამოცდა დაიწყოს 12^{30} საათზე.
3. სტუდენტები გამოცხადდნენ რეგისტრაციის გასავლელად გამოცდის დაწყებამდე 30 წუთით ადრე. რეგისტრაციის დროს სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა.
4. გამოცდის ხანგრძლივობა განისაზღვროს 90 წუთით. გამოცდის შედეგი (შეფასება) სტუდენტისათვის ცნობილი გახდეს გამოცდის დამთავრებისთანავე.
5. გამოცდა ჩატარდეს კომპიუტერული ტესტირების ფორმით.
6. დამტკიცდეს გამოცდის საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა დანართის შესაბამისად.
7. გამოცდის შემდეგ სტუდენტს შეუძლია საპრეტენზიო განცხადება წარადგინოს გამოცდის ჩატარების ადგილზე იმავე დღეს, 14^{00} საათამდე.
8. პრეტენზიების განხილვა დაიწყოს 09 ოქტომბერს, 14^{00} საათიდან. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობოს სტუდენტს განხილვის დამთავრებისთანავე.

9. გამოცდის საბოლოო რანჟირებული შედეგები წარედგინოს სწავლების დეპარტამენტს იმავე დღეს.
10. თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები. პროგრამულ სახელმწიფო დაფინანსებას ვერ მიიღებს სტუდენტი, რომელსაც წინა წლებში მიღებული აქვს პროგრამული სახელმწიფო დაფინანსება ან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვთ სასწავლო გრანტი.
11. სწავლების დეპარტამენტმა უზრუნველყოს რანჟირებული სიების წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არაუგვიანეს 2017 წლის 10 ოქტომბრისა.
12. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს.
13. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი

გამოცდის საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა

1. გიორგი აბრამიშვილი - სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
2. შოთა ზაზაშვილი - უმაღლესი მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორი (კომისიის წევრი);
3. ნინო გიორგობიანი - სწავლების დეპარტამენტის ჯგუფის უფროსი (კომისიის წევრი).